ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5

თბილისი „3“ „იანვარი“ 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ ***სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო,***
მისი უფროსის ი. კოტეტიშვილის სახით
მდებარე ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7 (შემდგომში - „შემსყიდველი“)
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ***შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი“,მისი დირექტორის ვ. ნასყიდაშვილის სახით***
მდებარე ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8 (შემდგომში -„მიმწოდებელი“)
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის ბ ქვეპუნქტით, ბიუროს ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში, პრინტერის სახარჯი მასალის შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1 931 (ერთი ათას ცხრაას ოცდათერთმეტი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“).
2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1.

№	საქონლი/ მომსახურება	სპეციფიკაცია	ერთეულის ფასი	რაოდენობა	საერთო ფასი
1	CE740A	CLJ CP 5225 Black Print Cartridge	305,00	1	305,00
2	CE741A	CLJ CP 5225 Cyan Print Cartridge	542,00	1	542,00
3	CE742A	CLJ CP 5225 Yellow Print Cartridge	542,00	1	542,00
4	CE743A	CLJ CP5225 magenta Print Cartridge	542,00	1	542,00

ჯამი 1931

4. საქონლის მიწოდების პირობები
4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმდინარე წლის 12 იანვრის ჩათვლით „შემსყიდველის“ ოფისში მისამართი: ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7.
4.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებულ საქონელზე, გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე (დანართი 1).
5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
6.3. საქონელზე ანგარიშსწორება იწარმოებს ერთ ეტაპად, მიწოდებული საქონლის შესაბამისად, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი დადგენილ ვადაში;
7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოსახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი

ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
34.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები
16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, საჯარო სამსახურის ბიუროს მთავარი სპეციალისტი დავით აღნიაშვილი
15.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
15.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო ქ. თბილისი, ჰ. ინგოროყვას ქ. №7 სახელმწიფო ხაზინა კოდი №220101222 ა.ა. №200122900 საიდენტიფიკაციო კოდი №205047288	შ.პ.ს. „ორიენტ ლოჯიკი" ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N 8 ს.ს „პროკრედიტ ბანკის" ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი №220101922 ანგარიშის №4101467822 ს/კ 202052054
----------	----------
ირაკლი კოტეტიშვილი უფროსი	ვაჟა ნასყიდაშვილი დირექტორი

დანართი №1

საჯარო სამსახურის ბიურო
მიღება-ჩაბარების აქტი №

ქ. თბილისი „——“ „————“ 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო სამსახურის ბიურო, მისი მთავარი სპეციალისტის დაკით აღნიაშვილის სახით და, მეორე მხრივ, „მიმწოდებელი“

———————————————————————————————————

(დაწესებულების დასახელება)

———————————————————————————————————

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2011 წლის „——“ ———————— №——— ხელშეკრულების ფარგლებში „მიმწოდებელმა'' საჯარო სამსახურის ბიუროს მიაწოდა შემდეგი საქონელი

———————————————————————————————————

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ————————————————————

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს ————————————————

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ————————————————————————

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

სამუშაო, ანაზღაურებულია

———————————————————————————————————

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ჩააბარა:
1. გენერალური დირექტორი

2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

მიიღო:
1. მთავარი სპეციალისტი

2. მთავარი ბუღალტერი